



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 41

ქ. გარდაბანი

30/03/2022

41-06-4-202203301914



ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში მცხოვრები აკაკი ხიზანიშვილისთვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 16 მარტის N18-182207532 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 13724 (ცამეტი ათას შვიდასოცდაოთხი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში მცხოვრები აკაკი ხიზანიშვილისთვის (პ/ნ _____), (დიაგნოზი: _____)

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა გასცეს საგარანტიო წერილი და უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. №12-ში მდებარე, შ.პ.ს. „ნიუ ჰოსპიტალის“ ანგარიშზე. ს/კოდი 205210467

ანგ. № _____

ბანკში: სს „ბანკი ქართუ“, კოდი: CRTUGE22

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

